ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3589707

ნომერი: AR1544271

თარიღი : 27.09.2017

გაცემის თარიღი : 05.10.2017

გაცნობის თარიღი : 05.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , N 79 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით პირველაშვილი პ/ნ 01008042484
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძეს ქუჩა, N 48, ბინა 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა (შემდგომში - სამსახურის) განიხილა თქვენი 2017 წლის 27 სექტემბრის №AR1544271 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2017 წლის 14 აგვისტოს №3468212 გადაწყვეტილების, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 14 აგვისტოს №3468212 გადაწყვეტილებით სამსახურმა დაადასტურა ქ. თბილისში, სექტორი (ნაძალადევი), ჩარგლის ქ. #79–ში, მდებარე მშენებლობა დამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის #ბ–19/01171421561-17 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ–სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათ დასაშვებობა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.
ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 22 სექტემბრის №ბ-19/011722511209-17 ბრძანებით ამავე სამსახურის მიერ ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქ.თბილისში, ჩარგლის ქ. №79-ში ს.კ: №01.12.04.001.145 მდებარე მშენებლობა დამთავრებული ობიექტი (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი - IV კლასი).
რაც შეეხება, თქვენს მიერ განცხადებაში აღნიშნულ საკითხს, სადაც ითხოვთ სამსახურის №3468212 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორებას გაცნობებთ, რომ მითითებულ გადაწყვეტილებაში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები არ დაფიქსირებულა. მოგვიანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 22 სექტემბრის №ბ-19/011722511209-17 ბრძანებით, მშენებლობადამთავრებული ობიექტი მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,პ" ქვეპუნქტის თანახმად, „ქ. თბილისში (გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთს უარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითი ფორმით“. შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 აგვისტოს №3468212 გადაწყვეტილებით დადასტურდა მხოლოდ სამსახურის 2014 წლის 14 აგვისტოს №1599084 ბრძანებით შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით ნაწარმოები მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა. აღნიშნული კი, არ ითვალისწინებს სამსახურის მიერ საპროექტო ობიექტის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ახალი გაანგარიშების შეთანხმების ვალდებულებას.
ვინაიდან, ზემოაღნიშნული ობიექტი ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის საფუძველზე, შენობა–ნაგებობის ფაქტობრივი მაჩვენებლების ასახვა ხდება ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა. ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური ხარვეზის გასწორების მოთხოვნით შეგიძლიათ მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.